დამტკიცებულია
შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის
აკადემიური საბჭოს სხდომაზე: ოქმი №08
„13“ 07 2020წ.

რექტორი, პროფესორი _____ მარინა ფირცხალავა

დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის (შემდგომში - უნივერსიტეტი) სტრუქტურული ერთეულის - დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის (შემდგომში - სამსახური) ფუნქციებს, ანგარიშვალდებულებასა და საქმიანობის წესს.
2. სამსახური საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის დებულების, წინამდებარე დებულებისა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებლივი აქტების შესაბამისად.
3. სამსახური ანგარიშვალდებულია ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში რექტორის მოადგილის წინაშე, ასრულებს მის მითითებებსა და დავალებებს.
4. სამართალდამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში სამსახური კანონმდებლობით დადგენილი წესით (დაცვის უსაფრთხოების ნაწილში) თანამშრომლობს სამართალდამცავ ორგანოებთან.

მუხლი 2. სამსახურის მიზანი და ფუნქციები

1. სამსახურის მიზანია:

1.1.საკანონმდებლო რეგულაციების მოთხოვნებისა და პრევენციული ღონისძიებების ზოგადი პრინციპების დაცვა, რომელიც უკავშირდება სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების საკითხებს, არსებულ და მოსალოდნელ საფრთხეებს, უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილებას, დასაქმებულთა სწავლებას, მათთვის ინფორმაციის მიწოდებასა და კონსულტაციის გაწევას და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში დასაქმებულთა თანაბარ მონაწილეობას.

1.2. უნივერსიტეტის კუთვნილი მატერიალური ქონების დაცვა, სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

2. სამსახურის ფუნქციებია:

ა) შრომის უსაფრთხოების წესების დაცვა;

ბ) საფრთხისა და რისკების შემცველი ფაქტორების იდენტიფიცირება და რისკების პრევენციისათვის საჭირო ღონისძიებების გატარების უზრუნველყოფა;

გ) უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობების და ქონების დაცვა, მათ შორის უსაფრთხოების კამერების მეშვეობით;

დ) კონტროლი სახანძრო და ტექნიკური უსაფრთხოების წესების დაცვაზე;

ე) კონტროლი საზოგადოებრივი წესრიგისა და დისციპლინის, აგრეთვე უნივერსიტეტის შინაგანაწესის დაცვაზე.

მუხლი 3. სამსახურის პერსონალი

1. სამსახურის პერსონალს შეადგენს: შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი/სპეციალისტები.
2. სამსახურის პერსონალის თანამდებობაზე შერჩევა ხდება უნივერსიტეტში მოქმედი ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის თანამდებობაზე დანიშვნის წესის გათვალისწინებით/დაცვით.
3. სამსახურის პერსონალს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
4. შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი:

ა) ხელმძღვანელობს სამსახურის მიერ საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის შიდა აქტებითა და წინამდებარე დებულებით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებას.

ბ) უზრუნველყოფს რეკომენდაციების მომზადებას და განხორციელებას შრომის უსაფრთხოების მარეგულირებელი კანონებისა და რეგლამენტების საფუძველზე, სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე რისკების გამოვლენასა და შეფასებას, საქმიანობის შესწავლასა და საჭირო პრევენციული გეგმის შემუშავებას, გამოვლენილი რისკების კონტროლთან დაკავშირებული რეკომენდაციების გაცემას.

გ) პასუხისმგებელია სამსახურის საქმიანობის ორგანიზებულად და ხარისხიანად წარმართვაზე, ვალდებულია რაციონალურად გაანაწილოს სამუშაო შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებს შორის და გააკონტროლოს შესრულებული სამუშაოს ხარისხი.

დ) უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ - სამეურნეო დარგში რექტორის მოადგილის დროულ ინფორმირებას შრომის უსაფრთხოების მარეგულირებელ კანონებსა და რეგლამენტებში შესული ცვლილებების შესახებ.

ე) უზრუნველყოფს წესრიგის დაცვასა და უსაფრთხოებას, სწავლების ჩატარების გეგმის შემუშავებას საფრთხეების იდენტიფიცირებისა და რისკების შეფასების შესაბამისად, დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლებას გეგმიური სწავლებებითა და ინსტრუქტაჟებით, ელექტრო და სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით კონსულტაციების გაწევას.

ვ) ახორციელებს უნივერსიტეტის ქონების დაცვას და გაფრთხილებას. საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ან კონფლიქტური სიტუაციების შემთხვევაში იღებს ზომებს მათ აღსაკვეთად, საჭიროების შემთხვევაში ატყობინებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას.

5. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი:

ა) ასრულებს შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დავალებებს.

ბ) უზრუნველყოფს წესრიგის დაცვასა და უსაფრთხოებას, ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის მუდმივად გამართულ მდგომარეობაში ქონას, დაცვის ტექნიკური საშუალებების: ვიდეომეთვალყურეობის და სასიგნალიზაციო სისტემების მონტაჟს-დემონტაჟს და ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დროულ რეაგირებას.
6) უნივერსიტეტის ობიექტების ფიზიკურ დაცვას, უწყვეტად დღე-ღამის განმავლობაში, ხელშეკრულების საფუძველზე, ახორციელებენ დაცვის თანამშრომლები.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

1. სამსახურის დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.
2. სამსახურის დებულების გაუქმება ან მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ.